

## AGREEMENT

On Amendment of the Memorandum of understanding signed between the Government of Georgia and KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI on October 27, 2011.

The present agreement is signed on January 29 2014.

Government of Georgia – (hereinafter referred to as: “Government”) represented by the Minister of Energy and Natural Resources of Georgia, Mr Kakha Kaladze;

„KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI“ - (hereinafter referred to as: “Company”) represented by the authorised representative Mr Vakhtang Gongadze;

And “KG Energy” LLC - (hereinafter referred to as: “Company”) represented by the Director Mr Vakhtang Gongadze.

The parties, according to Georgian legislation, Sign the Memorandum of Understanding signed between the the Government of Georgia and KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI on October 27, 2011 on build, own and operate of the Bakhvi HPP 1 and Bakhvi HPP 2 (herein after referred to as: “MoU”) to make the following changes:

1. The sub article “c” of article 3.1 of the MOU shall be amended and formed as follows:  
“(c) Secure the required investments in total estimated amount of 85 000 000.00 (eighty five million) USD;”
2. The sub article “d” of article 2.2 of the MOU shall be amended and formed as follows:  
“d) The terms of Commencement of Construction Works based on Construction Permit and Commencement of Operations;”.
3. The articles 3.6, 3.7, 3.8 and 3.9 of the MOU shall be amended and formed as follows:  
“3.6 For the purpose of securing the terms of Commencement of Construction Works based on Construction Permit and Commencement of Operations of the Facility, the Company has provided the Government with the bank guarantee in an amount of 7 650 000.00 (Seven million six hundred and fifty thousands) US Dollars (Copy is attached). The Government is entitled to redeem the above mentioned bank guarantee, claim and receive the full or partial amount under the bank guarantee in following cases:
  - a) The Company refuses to pay the fine imposed on it according to the sub article “a” of the article 3.7 of the MOU for the violation of the term of Commencement of Construction Works based on Construction Permit defined by the Annex 4 of the MOU – in an amount equal to the imposed fine.

- b) The Company refuses to pay the fine imposed on it according to the sub article "a" of the article 3.7 of the MOU for the violation of the term of Commencement of Operations defined by the Annex 4 of the MOU – in an amount equal to the imposed fine.
- c) Government terminates the MOU according to any sub article of article 3.8 – in full amount of existing bank guarantee.
- d) Company breaches any term defined by the MOU and/or its annexes – in full amount of existing bank guarantee.
- e) In accordance with article 3.13 – in full amount of existing bank guarantee.

3.7 The fine shall be imposed to the Company for violation of the term of the MOU in following manner:

a) The violation, by the Company of the term of the Commencement of Construction Works based on Construction Permit, defined by the MOU shall cause the penalization of the Company, in an amount of 0,5 % of the full bank guarantee amount, for each delayed day. Herewith the imposed fine shall be paid by the Company within the 15 days from receiving the request from Ministry of Energy of Georgia. In case fine is paid by the Company, the bank guarantee shall be reduced in accordance with the amount paid by the Company.

b) The violation, by the Company of the term of Commencement of Operations, defined by the MOU shall cause the penalization of the Company, in an amount of 0,5 % of the full bank guarantee amount, for each delayed day. Herewith the imposed fine shall be paid by the Company within the 15 days from receiving the request from Ministry of Energy of Georgia. In case fine is paid by the Company, the bank guarantee shall be reduced in accordance with the amount paid by the Company.

3.8 The Government may terminate the present MOU unilaterally, by serving the written notice to the Company, in following cases:

a) In case the amount of fine, according to the sub article "a" of the article 3.7 reaches the 50% or more of the full amount of the bank guarantee;

b) In case the amount of fine, according to the sub article "b" of the article 3.7 reaches the 50% or more of the full amount of the bank guarantee;

c) Company has refused to implement the project.

d) The Company has essentially violated any term of the MOU and/or its Annexes, as a result of which the MOU loses its initial meaning.

e) According to the information/documentation received from the Company and/or obtained by the Government it is clear, that the necessary actions, for fulfilling the obligations under the MOU, are not conducted by Company.

3.9 The termination of the present MOU shall cause the following:

a) a respective land plots (transferred to the Company) shall be returned to the initial owner without any compensation, if the initial owner of the respective land plot is the State or local self-governance bodies;



- b) The company shall be deprived the right to implement the project.”.
4. The articles 3.11 of the MOU shall be amended and formed as follows:  
“3.11 The article 3.7 and sub articles “c”, “d”, “e” of article 3.8 of the MOU shall not apply if the failure by the Company to comply with the terms of the MOU is caused by Force Majeure or unlawful actions on part of Government and/or local self-governance bodies.”.
  5. The articles 3.12 shall be added to the MOU and formed as follows:  
“3.12 The bank guarantee submitted by the Company to the government shall be valid including March, 2018. If according to article 3.11 any term defined by annex 4 of MOU is extended (moved) , the Government may request extension of the validity term of the bank guarantee presented by the Company or submission of a new bank guarantee on the same terms. In case of failure by the Company to meet this requirement of the Government within reasonable time, the Government may demand the funds under the bank guarantee effective at that time from the issuing bank.”.
  6. The articles 5.2 of the MOU shall be amended and formed as follows:  
“5.2 The MOU may be terminated with mutual agreement, which causes the consequences defined by article 3.9 of the MOU.”
  7. The Annexes N1, N2, N3, N4 and N5 of the Memorandum shall be amended and read as enclosed addition to this Agreement;
  8. The term in the Memorandum “hydro power Plants and/or HPPs” shall be replaced by “hydro power plant and/or HPP”;
  9. The term in the Memorandum “Commencement of Construction Works” shall be replaced by “Commencement of Operations”;
  10. Other terms and provisions of the MOU shall remain in full force;
  11. The company, within the 30 days after signing the present Agreement, is obliged to provide the Government with the Bank Guarantee in amount of 7 650 000.00 (Seven million six hundred and fifty thousands) USD with the date until March 2018;
  12. The government within the 20 days after this article enters into force, will ensure to prepare the relevant consent letter for the bank about the cancelation of the two bank guarantees (4 250 000.00 USD and 2 550 000.00 USD) presented by the Company for the purpose of securing the obligations under the Memorandum to the Government;
  13. In case the Company fails to comply with the obligation under the article 11 of the present Agreement the Government is unconditionally entitled to redeem full amount of the Bank Guarantee presented by the Company;
  14. The present Agreement, apart from Articles 1-10 and 12 enters into force following its execution. The Articles 1-10 and 12 of the present Agreement enters into force only in case the Company has fully fulfilled its obligation under the Article 11 of present Agreement;
  15. The present Agreement is indivisible part of the Memorandum and is in force with the Memorandum.



## შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას და KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI შორის 2011 წლის 27 ოქტომბერს ბაზვი 1 და ბაზვი 2 ჰესების მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

29 იანვარი, 2014 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

მეორეს მხრივ, KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI, (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ვახტანგ ღონღაძის მიერ; და

და მესამეს მხრივ შპს „ქეიჯი ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 404897563), წარმოდგენილი დირექტორის, ვახტანგ ღონღაძის მიერ,

მხარეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თანხმდებიან საქართველოს მთავრობასა და KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI-ს შორის 2011 წლის 27 ოქტომბერს ბაზვი 1 და ბაზვი 2 მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალოს მემორანდუმის 3.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „უზრუნველყოს საჭირო ინვესტიციების განხორციელება, სავარაუდოდ ჯამში 85,000,000 (ოთხმოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის 2.2. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„დ) მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების ვადა.
3. მემორანდუმის 3.6, 3.7, 3.8 და 3.9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„3.6. კომპანიის მიერ, ობიექტის მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად მთავრობაზე გადაცემულია საბანკო გარანტია 7,650,000 (შვიდი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (თან ერთვის). მთავრობა უფლებამოსილია გამოიყენოს აღნიშნული საბანკო გარანტია, მოითხოვოს და მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა ან მისი ნაწილი შემდეგ შემთხვევებში:  
ა) კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის დანართი N4-ით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევის/გადაცდენის გამო, 3.7. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მასზე დაკისრებული საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში - საურავის გადაუხდელი ოდენობით;  
ბ) კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის დანართი N4-ით გათვალისწინებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევის/გადაცდენის გამო, 3.7. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის

საფუძველზე მასზე დაკისრებული საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში - საურავის გადაუხდელი ოდენობით;

გ) 3.8. პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტის საფუძველზე, მთავრობის მიერ მემორანდუმის გაუქმების შემთხვევაში - არსებული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრული ოდენობით;

დ) კომპანიის მიერ, ობიექტისათვის წინამდებარე მემორანდუმით, ან მისი დანართებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში - არსებული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრული ოდენობით;

ე) 3.12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - არსებული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრული ოდენობით.

3.7. კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის პირობების დარღვევა გამოიწვევს მასზე საურავის დაკისრებას ამ პუნქტის შესაბამისად. კერძოდ:

ა) მემორანდუმით დადგენილ ვადაში მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისათვის საურავის დაკისრებას, რომლის ოდენობაც შეადგენს მთლიანი საგარანტიო თანხის 0,5 %-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, დაკისრებული საურავის გადახდა უნდა განხორციელდეს კომპანიის მიერ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მოთხოვნის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. კომპანიის მიერ საურავის გადახდის შემთხვევაში განხორციელდება საბანკო გარანტიის შემცირება გადახდილი საურავის ოდენობით;

ბ) მემორანდუმით დადგენილ ვადაში ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისათვის საურავის დაკისრებას, რომლის ოდენობაც შეადგენს მთლიანი საგარანტიო თანხის 0,5 %-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, დაკისრებული საურავის გადახდა უნდა განხორციელდეს კომპანიის მიერ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მოთხოვნის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. კომპანიის მიერ საურავის გადახდის შემთხვევაში განხორციელდება საბანკო გარანტიის შემცირება გადახდილი საურავის ოდენობით.

3.8. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, გააუქმოს წინამდებარე მემორანდუმი თუ:

ა) კომპანიზე 3.7. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებული საურავების ჯამი მიაღწევს მთლიანი საგარანტიო თანხის 50 %-ს;

ბ) კომპანიზე 3.7. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებული საურავების ჯამი მიაღწევს მთლიანი საგარანტიო თანხის 50 %-ს;

გ) კომპანიამ უარი განაცხადა პროექტის განხორციელებაზე;

დ) ადგილი აქვს კომპანიის მიერ, ობიექტისათვის წინამდებარე მემორანდუმით, ან მისი დანართებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის არსებით დარღვევას, რის შედეგადაც მემორანდუმის მოქმედება აზრს კარგავს მთავრობისთვის;

ე) კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი ან მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციით/დოკუმენტაციით აშკარაა, რომ კომპანიის მიერ არ ხორციელდება მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად საჭირო ქმედებები.

3.9. წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება განაპირობებს:

ა) შესაბამისი (კომპანიისთვის გადაცემული) მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრისათვის დაბრუნებას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, იმ შემთხვევაში თუ თავდაპირველი მესაკუთრე არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა.

ბ) კომპანიისათვის პროექტის განხორციელების უფლების ჩამორთმევას.

4. მემორანდუმის 3.11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.11. წინამდებარე მემორანდუმის 3.7. პუნქტი და 3.8. პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები არ გამოიყენება, თუ ამ პუნქტით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებები განპირობებულია ფორს-მაჟორით ან სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არამართლზომიერი ქმედებით.“

5. მემორანდუმს დაემატოს 3.12 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3.12 კომპანიის მიერ მთავრობისათვის გადაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის მარტის თვის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ 3.11. პუნქტის შესაბამისად გადაიწია (გაგრძელდა) ამ მემორანდუმის დანართი N4-ით გათვალისწინებული რომელიმე ვადა, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს კომპანიას წარმოდგენილი საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება ან იმავე პირობებით ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. კომპანიის მიერ ასეთი მოთხოვნის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია მოსთხოვოს გარანტიის გამცემ ბანკს იმ დროს მოქმედი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.“

6. მემორანდუმის 5.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2 მხარეები უფლებამოსილნი არიან ურთიერთშეთანხმებით გააუქმონ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი, რაც განაპირობებს 3.9. პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს.“

7. მემორანდუმის დანართები N1, N2, N3, N4 და N5 ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით;

8. მემორანდუმში სიტყვები "ჰიდროელექტროსადგურები" და „ელექტროსადგურები“ შესაბამისად ჩანაცვლდეს სიტყვებით "ჰიდროელექტროსადგური" და „ელექტროსადგური“;

9. მემორანდუმის მთელ ტექსტში ტერმინი „ექსპლუატაციაში გაშვება“ ჩანაცვლდეს ტერმინით „ექსპლუატაციაში მიღება“;

10. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი;

11. კომპანია ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების დადებიდან 30 დღის ვადაში, მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით წარამოდგინოს საბანკო გარანტია 7,650,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება 2018 წლის მარტის თვის ჩათვლით;

12. მთავრობა წინამდებარე პუნქტის ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში გასცემს შესაბამის ბანკში წარსადგენ წერილობით თანხმობას კომპანიის მიერ მთავრობის სასარგებლოდ მემორანდუმის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ორი საბანკო გარანტიის 4 250 000.00 აშშ დოლარის და 2 550 000.00 აშშ დოლარის (ჯამში 6 800 000.00 აშშ დოლარი) გაუქმების თაობაზე.

13. კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ამავე პუნქტით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია უპირობოდ განახორციელოს კომპანიის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის სრული ოდენობით მის სასარგებლოდ მოთხოვნა.
14. წინამდებარე შეთანხმება, გარდა 1-10 და მე-12 პუნქტებისა, ძალშია მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის დღიდან. წინამდებარე შეთანხმების 1-10 და მე-12 პუნქტები ძალაშია კომპანიის მიერ წინამდებარე შეთანხმების მე-11 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დღიდან.
15. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად.
16. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერ დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
17. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ-ინგლისურ ენებზე 3-3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ამასთან ინტერპრეტაციის დროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ეგზემპლარს.

**18. ხელმოწერნი:**

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

**KGM İLETİŞİM VE HİZM. LOJİSTİK İNS. VE TURİZM TİC.LTD.ŞTİ**

ვახტანგ ღონღაძე

შპს „ქეიჯი ენერჯი“

ვახტანგ ღონღაძე

ადგილმდებარეობა

დანართი №1

№	Name/სახელწოდება	River Elevation/მდინარის ნიშნული	Region, River/რეგიონი, მდინარე
1.	Bakvi HEPP/ბაკვი ჰესი	1796-504 M/მ	Guria, Ozurgeti Region, river Bakhtviskali/ გურია, ოზურგეთის რეგიონი, მდინარე ბახვისწყალი


  
Government of Georgia

Kakha Kakabadze

„KGM INVEST SIM VE HIZM. LOGISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STY“

  
Vakhang Gongadze

“KG Energy” LLC

  
Vakhang Gongadze





Capacity / სიმძლავრე

№		Total Capacity in MW / ძირუბანი სიმძლავრე მგვბ.
1.	BAKHVI HPP / ბახვი ჰესი	45.00

Government of Georgia

Kakha Kalidze

„KGM ILIETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI“

Vakhtang Gongadze

“KG Energy” LLC

Vakhtang Gongadze

NS

Size of Investment / ინვესტიციის მოცულობა

№	Name / სახელწოდება	Size of approximate Investment USD / ინვესტიციის სავარაუდო ოდენობა აშშ დოლარში
1.	BAKHVI HPP / ბახვი ჰესი	85 000 000 USD / 85 000 000 აშშ დოლარი

Government of Georgia

Kakha Kalidze

„KGM II ETISM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TTCLTD.STI“

Vakhtang Gongadze

“KG Energy” LLC

Vakhtang Gongadze

Terms of Commencement of Construction works based on Construction Permit and Commencement of Operations /  
 მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღება ვადა

№ სახელწოდება	Name/ სახელწოდება	Commencement of Construction works based on Construction Permit / მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	Commencement of Operations / ექსპლუატაციაში მიღება
1.	BAKHVI HEPP / დასგ ჰესი	იანვარი 2015/ January 2015	იანვარი 2018/ January 2018

Government of Georgia

Kakha Kokaia

„KGM ILETAKIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC.LTD.STI“

Vakhtang Gongadze

“KG Energy” LLC

Vakhtang Gongadze

Annual Capacity / წლიური სიმძლავრე

№	Name / სახელწოდება	Annual Generation mln. KWH / წლიური გამომუშავების ოდენობა მლნ.კვტ. საათი
1.	BAKHVI HEPP / ბახვი ჰესი	158

Government of Georgia


Kakha Kaladze

„KGM ILTISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TC.LTD.STI“

Vakhtang Gongadze

“KG Energy” LLC

Vakhtang Gongadze



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010162276427113

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, ვიჟაგას ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Vojtagas st., 0114, Tbilisi. Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№ 75992

26 / ივლისი / 2013 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2013 წლის 18 ივლისის №04/3477 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, „KGM ILETISIM VE HIZM, LOJISTIK INS. VE TURIZM TIC. LTD. STI“-სა და შპს „ქეიჯი ენერჯის“ შორის დასაადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებით შეხდევს:

იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის დადება ხორციელდება „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №104 დადგენილების (შემდგომში - „დადგენილება“) შესაბამისად, საკითხი იმის თაობაზე, სახეზეა თუ არა „დადგენილების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, წარმოადგენს შესაბამისი კომპეტენტური უწყების - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, მტკიცების და თავად შეთანხმების შტაბის - საქართველოს მთავრობის, შეფასების საგანს.


აქვე შევნიშნავთ, რომ შეთანხმების პროექტი შეიცავს რამდენიმე ტექნიკური სახის ხარვეზს, კერძოდ, შეთანხმების პროექტისა და 2011 წლის 27 ოქტომბრის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტებში გამოყენებული ტერმინები: „ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღება“ და „ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება“, მომავალში არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროებს ურთიერთშესამაზისობაში მოყვანას და, შესაბამისად, ერთი ტერმინით ჩანაცვლებას. ამასთან, 2011 წლის 27 ოქტომბრის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 3.3 და 3.4 პუნქტებში გამოყენებული ტერმინი - „ელექტროსადგურები“, უნდა ჩანაცვლდეს ტერმინით - „ელექტროსადგური“. აქვე შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის მე-3 პუნქტში გათვალისწინებული საბანკო გარანტიის ახალი თანხა აშშ დოლარში უნდა იქნეს გამოსახული.

პატივისცემით,

გ. დხაჭიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



**საქართველოს შთავრების  
განმარტება**

№1470 2013 წლის 21 თებერვალი ქ.თბილისი


საქართველოს შთავრების, შპს „ქეთვი ენერჯი“-ს და KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC. LTD. STI-ს შორის დასადები შთაწმების თაობაზე

1. შთაწმებულ იქნეს შპს „ქეთვი ენერჯი“-ს წინადადება გურის რეგიონში, მდინარე ბაბუისწყალზე 2 ჰიდროელექტროსადგურის წადვლად 1 გაერთიანებული ჰიდროელექტროსადგურის წმებლობის, ფლონის და ოპერირების შესახებ.

2. შთაწმებულ იქნეს საქართველოს შთავრების, KGM ILETISIM VE HIZM. LOJISTIK INS. VE TURIZM TIC. LTD. STI-სა და შპს „ქეთვი ენერჯი“-ს შორის დასადები შთაწმების პროექტი „ურთიერთგაგების მემორანდუმში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

3. „საქართველოს შთავრების სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შთაწმებას საქართველოს შთავრების სახელით ხელი შთაწმის საქართველოს ენერგეტიკის შინაწმის კაბა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ბიძინა ივანიშვილი